# ნიანგი

თებერვალი 1933 წ
№ 3
ფასი 40 კაპ.




ნახ. თოიძის.



დღეს ცხენის არის ზეიმი,
[illegible] და მოუხარია,
ეგებებიან მუსიკით
კურდღელი, ღორი, ხარია.

# რადიო

ყველას, ყველას, ყველას!
-რადიო-ნაუენი თხოვს სმენას!
კარგად დაუგდეთ თქვენ იმას ყური:
რაღაც სათქმელი აქვს უცნაური!..
რაო, რაო, რაო?
შესდგა ახალი მთავრობაო?..
მის სათავეში ჩადგა ჰიტლერი,
მუშათა კლასის მოსისხლე მტერი!
თანაშემწედ ჰყავს მას ფონ-პაპენი,
განა მარტო ის?—სხვებიც რამდენი!
როლი დაიყვეს მათ ამნაირად:
გარეშე საქმის—გრაფი ნეირატ;
შინაგანის კი—ვილაცა ფრიკი,
რომელმაც იცის ბევრი რამ ხრიკი!
ფინანსთა—გრაფი შვერინ-კროზიკი.
გააჩნია მას რამ ოქროხი კი?
განა არ იცით, ოქროს რა უყვეს?
მევალეებზე აკი გაიყვეს
ერთმანეთ შორის ნაწილ-ნაწილად:
ზოგს ცოტა, ზოგს კი ბევრი ხვდა წილად!
ზელდტე დასკუპდა შრომის მინისტრად.
აგრე-თვე ვიცნობთ ჩვენ მას მუშის მტრად
იგი ბელადობს იმ არამზადებს,
თავზე ატარებს ვინც მუზარადებს!
უმუშევრების ბედმაც დარეკა:
კომისარია მათი გერეკე,
ვინაც ხელობით არის ექიმი.
ალბად წამალი რამე ექნება,
რითაც ის მოსპობს შიმშილს და წყურვილს,
არავინ იგრძნობს სმა-ჭამის სურვილს,
აქ ფონ-ბლომბერგში მას ხელს შეუწყობს
ცხელ ტყვია-წამლის კვერს გამოუცხობს,
იგი მინისტრად არის თავდაცვის,
ასეთი საქმე მან კარგად იცის!
ქალაქ და სოფლის მეურნეობას
გუგენბერგ უწევს მოურავობას.
ჩამქრალ ლუმელებს ააგუგუნებს,
თუ ანთებულსაც ის დაადუმებს?
პროლეტარიატს აქ ვაძლევ სიტყვას:
ამის შესახებ მას რაც სურს ის სთქვას!
გზათა უწყებას, ფოჩტა-ტელეგრაფს
არ ვედავებით ბარონსა, თუ გრაფს,
რომლის წოდება, გვარი სახელი
გრძელია, როგორც თოკი საბელი:
აგრეთვე სიაც ეს გახდა გრძელი:
ყველა პარტიებს ხვდათ სავარძელი!
უმისოდ დარჩენ მენშევიკები.
ამით მე არ მსურს მათი შექება!
ამ სავარძლისთვის ჭიპზე სკდებიან!
სიამოვნებით ჩასკუპდებიან,
მაგრამ არავინ ის არ მიართვა!
განა არ იცით ეს, რომ მე არ ვთქვა?
ასეთი არის ის თაიგული,
ჰინდენბურგმა დღეს ვინც დაიგულა
ჩიხიდან ქვეყნის გამოსაყვანად,
სადაც მოექცა იგი ამხანად!
პროლეტარიატს ვაძლევ კვლავ სიტყვას
რაც მე გამომრჩა—დე, მან იგი თქვას!...

ს. თ—ია

# ულვაში—ბარომეტრი

ნახ. მარიაშის



გერმანიის ყოფილი იმპერატორი ვილჰელმი, რომელიც ჰოლანდიაშია გახიზნული, ჰიტლერის მთავრობამდე

იგივე ვილჰელმი, რომელმაც ცნობა მიიღო ჰიტლერის მიერ გერმანიის მთავრობის შედგენის შესახებ.

# ცხენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაურ ცხოველებში ფეთქაძეს ყველაზე უფრო ძროხა უყვარდა.

— ძროხის ერბო-კარაქსა და რძეს რა სჯობია!—ამბობდა იგი და იგონებდა თავის ბავშობას, როცა მინდვრად გაშვებულ ძროხებს დაიჭერდა და ხბოსავით გამოლეწდა.

როცა მეღორეობას მიექცა განსაკუთრებული ყურადღება, ფეთქაძეს არც ეს გაკვირვებია.

— მართალია, უშნო ცხოველია, მაგრამ სამაგიეროთ ისეთი გემრიელი ხორცი აქვს, რომ მისი მწვადი ყველა ქრისტიანულ ქვეყნებშია განთქმული.

მეკურდღლეობაც მალე გახდა მზრუნველობის საგნად.

— აი ეს კი მთავარია!—გაიხარა ფეთქაძემ. რომელსაც [illegible] უყვარდა კურდღლებზე ნადირობა.

და, მართლაც, მან მადლობაც კი მიიღო მეკურდღლეობისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენისათვის.

ფეთქაძე რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ კურდღლებისადმი ასეთი დიდი ყურადღება, კურდღლებშიაც გამოიწვევდა სამაგიერო პატივისცემას მისადმი და რამდენიმე კურდღელი ნადირობის დროს მას პირდაპირ თავზე წამოადგებოდა და თავს მოაკვლევინებდა.

მაგრამ მთელი სეზონის განმავლობაში ფეთქაძემ ერთი კურდღელიც ვერ მოკლა.

როცა ცხენის დღე გამოცხადდა, ფეთქაძემ იფეთქა:

— ეს კი მეტის-მეტია ცხენი რა ისეთი განძია. რომ მისთვის ღირდეს ამდენი შეწუხება!?

საზოგადოთ ცხენი ყველა ცხოველებზე უფრო საყვარელ და ლამაზ ცხოველად ითვლება.

ფეთქაძეს კი ჯირივით ეჯავრება. —ამის მიზეზი შემდეგი გარემოება არის:

დანიშნული ყავდა. მოყვარეს ესტუმრა ცხენით. მეორე დღეს წამოსვლისას დანიშნულის ჭიშკართან ცხენი დაფეთდა მხედარი (ფეთქაძე, სასიძო). გადმოვარდა და რამდენიმე მანძილზე უნაგირზე ფეხებით ჩამოკიდებული ათრია ცხენმა იგი.

თავი მოეჭრა კაცს.

ამის შემდეგ შეჯავრდა ცხენი.

შემდეგ, როცა თავს მოესწრო, დიდი კაცი გახდა მუდამ ავტოთი დადიოდა შემაც კი დაწესებულების ავტოს მიჰქონდა მისთვის ბინა-

# დავეუფლოთ ტექნიკას!

ნახ. გ თოიძის





როცა არ იცნობ მანქანას,
შენ იგი დევი გგონია.
მისი ქშენა და გრიალი
ავსულთ ხმაური გგონია.
ხრახნილი, ან თუ კბილანა
ვეშაპის ეშვი გგონია..
რიკინა—უსულო საგანი
შენ სულიერი გგონია.
არ იცი როგორ მოუდგე,
ის შენი მტერი გგონია.
შიშით ცახცახებ იმის წინ,
ზღაპრული მხეცი გგონია.

მაგრამ ამბავი სხვა ხდება,
თუ შეისწავლი მასაო,
დევად, ქაჯათ და ვეშაპად
აღარ უცქერი მასაო.
მისი ქშენა და გრიალი
გაგონებს ტკბილსა ხმასაო.
იგია შენი მორჩილი,
რაც გინდა უზამ მასაო.
თითის დაჭერით აცოცხლებ
და ამოძრავებ მასაო. ..
ტეხნიკას დაეუფლება
მთელი საბჭოთა მასაო.

ხი—ლი.

---

ძრავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა.

მას უკვირდა, რომ ელსადგურები და ძრავები ცხენების ძალით გაიზომებოდნენ: ამდენი და ამდენი ცხენის ძალაო.

— რა არის ბოლოს და ბოლოს ცხენი, სიტყვარში მაინც გავიგებო. გადაწყვიტა ფეთქაძემ და გადაშალა ენციკლოპედია.

— „ცხენი—თითქმის ყველაზე უფრო სასარგებლო შინაური ცხოველია. ცხოვრობს 20 25 წელიწადს... აქვს ტრანსპორტში დიდი მნიშვნელობა...11 თვეს არის მაკედ“...

— აკი ვამბობდი, რომ კურდღლებსა და ღორს ვერ შეედრება—მეთქი, ღორი წელიწადში ორ-სამჯერ შვრება გოჭებს. 11 თვეს ფეხმძიმობა ვის გაუგია! არ. საქმის გაჭიანურებაც ამას ჰქვია. ქალი რომ ქალია, იგიც კი ცხრა თვის მეტს არ ატარებს შვილს მუცელში!—გაიფიქრა ფეთქაძემ და ახლა საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი გადაშალა..

ცხენი—მამალსა ცხენსა ეწოდება ოჩტა და დედალსა—ხრდალი და ფაკი. შვილთა მათთა კვიცი, ხოლო კვიცსა ახტასა—ურა და ხრდალსა — ფაშატი, გამოყუერულსა—ტაიჭი, ალსაჯდომელსა—საჭედარი, გვარიანსა და კეთილსა ცხენსა—ჰუნე და ჯინიბი; ვირთა და ჯორთა ვირთა. რომელ არს ჯორი ახტა და ხრდალობა ითქმის, ხოლო კვიცსა მათთა—მუტრუკი“.

— მუტრუკი... მუტრუკი!—რამდენჯერმე გაიმეორა ფეთქაძემ და მოაგონდა, რომ მას დაწესებულებაში ზედმეტ სახელად ჩუმათ მას ამ სახელს უწ[illegible]იან.

— მაშასადამე მუტრუკი იგივე ჩორჩორი ყოფილა.—გაიფიქრა და გული დაიმშვიდა, რადგან ჩორჩორი ზრდილობიან სიტყვად მოეჩვენა, ვიდრე მუტრუკი.

ისელი

# ბესა და საბჭოთა დღე

ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე,
უსაქმობამ მოინელა:
ხან ყალიონს დინჯად გაარავს,
ხან ბოლთას სცემს ნელა-ნელა,
ან როცა წევს, ძვრაში ძუნწი,
გეგონება: ძევსო კუნძი.
არც ინძრევა, არც ირხევა...
რა მოვლენა, რა შემთხვევა,
ის რომ ოდნავ ააჩქაროს,
დაწაფოს საქმის წყაროს.
ეს წყარო კი, აგი საქმე
რომ შევნიშნო გაკვრით აქ მე,
ირგვლივ არის იმოდენა,
რომ ლანქერს ჰგავს მათი დენა...
იანვრიდან დაწყებული
მოდის საქმეთ ეს კრებული:
ჯერ პლენუმის შედეგების
ჩატარება ხომ ეგების.
შესასწავლად, შესასწავლად
მას შეჰყურებს ხალხი მრავლად.
ხელმძღვანელი აზრი მცნება.
უფრო მეტი სად იქნება?
მაგრამ თუ არ შეითვისე,
ვით რა გარგოს იმან ისე.
ჯერ ოცდაოთ იანვარსაც
არ ქონია კრება არსად,
რომ ლენინზე ეთქვა რამე,
დილა, დღე, თუ მისი ღამე,
თუ საღამო რომ მოეწყო;
თან ფაქტია მასთან ეს, რომ
ცხრა იანვრის შესახებაც
არ დასწრია არსად კრებას,
არ თუ მისთვის თვით იზრუნა.

არა, პირი სულ იბრუნა
პასივობის ჭაობისკენ:
მიდის ძველი თაობისკენ:
სოფლად არის კულაკთ კონა,
მათ გავლენას დაემონა.
ყოფილ კულაკს ვერც კი არჩევს,
მათ სურათებს, თვალშენაჩვევს
პლაკატებზე ეძებს ახლა...
კულაკი კი ჩაესახლა
კოოპდუქანს, სადმე გულში.
კოლექტივს თუ საზმამულში.
რომ გამოხრას მათი გული,
არს, ვით მატლი, მინაბული.
აქ თუ შენ ბრმად იყურები,
სად ჩანს კარიკატურები.
აქ ცოცხალი კაცი საქმობს:
შენ რომ დგამ და იგი აშხობს.
ის რომ სძებნო და მიაგნო,
ამას უნდა მეტი ალღო,
ვიდრე იჩენს ჩვენი ბესა,
რომ განაგებს საბჭოს დღესა.
მოდის გაზაფხულის თესვა,
გაეპარა ბესას ესა:
არც კავი აქვს, არც ტრაქტორი,
არ სათესლე ერთი ტორი...
ჯერ თვით პურის დამზადება
თითქმის უმისოდ ხდება,
ის არის მდგომი გზაზე.
არც კი ზრუნავს ამ საგანზე...
და ვწუხვარ მე: ჩვენი ბესა
საბჭოთა მეორე დღესა,
რომ ფაქტია, რაც ვთქვი, ესა,
ნიანგს როგორ დაუხვდესა!..

ჭაზირა.

# მოცლა არა აქვს

სამქროს გამგე აღელვებული ჩიოდა:

—კაცო, მე დატვირთვა არ მეყოფა? იმდენი სამუშაო მომდევს, რომ— [illegible] შესაჭვრეტად აღარ მცალია! ახლა კიდევ ახალი დატვირთვა?!.

— რა?

—რა და ტეხნიკის დაუფლება! ამას წინად თითქმის ძალით დამსვეს რაიბიუროს თავმჯდომარეთ, ახლა ეს ტეხნიკის დაუფლება მომახვიეს...

—კი მაგრამ, ტეხნიკის დაუფლება შენთვის აუცილებელია: საამქროს გამგე ხარ!

—თავი დამანებე თუ ძმა ხარ! სამქროს გამგე რომ ვარ, იმიტომ უნდა დამჩაგროთ და თავზე მომახვიოთ ყველაფერი? საშეფო კომისია მე ვარ. მიმაგრებული-მე, ათასგვარ ბიუროს წევრი-მე, რწმუნებული-მე... რამდენი ჩამოვთვალო!

—მეტის მეტია!

—მეც ამას გეუბნები! ყველა ამას დაემატა ახალი დატვირთვა-ტეხნიკის დაუფლება. ეს-ღა მაკლდა სწორედ! კარგი, ავითვისებ, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ დრო? ასეთი დატვირთვის კაცმა კიდევ ტეხნიკის დაუფლებისათვის ვიმტვრიო თავი? მეორე და რა აზრი აქვს მავას?

ამრიგათ, მიუხედავათ მრავალი გაფრთხილებისა, საამქროს გამგე უნიათაშვილი გაებუტა ტეხნიკას და დროს უქონლობის მომიზეზებით უარი სთქვა მის ათვისებაზე.

კარგა ხნის შემდეგ:

—საითკენ მიდიხართ, მივლინებაში?-ეკითხებოდა მატარებელში ნაცნობი უნიათაშვილს.

—აჰ, რის მივლინება! რაიონში გადამისროლეს და ასიცძირეულ სამუშაოზე!.. ვიცი, ინტერესით მომიხერხეს... დამიჩემეს, წარმოების ხელმძღვანელი ხარ, ტეხნიკას უნდა დაეუფლო... ვაიო, ხელმძღვანელი ვარ, ოაზვის მოშა ხომ არა ვარ? მაქვს კი ტეხნიკის ათვისების დრო? კარგით ერთი, თუ ძმა ხართ...

ტერსიტი

6 თებერვალს—ცხენის დღეს

ნახ. დონის.



ჭირიმე, შენი ჭირიმე,
ჭირიმე, ჩემო ლურჯაო...

მეორე დღეს



საკვებს არ აძლევს და ცემით,
თავპირი დაულურჯაო.

# თესლი!

ნახ. ძოქიაშვილის



კულაკი:—ყელი არ გამომჭრა თესვის კამპანია კარგად არ ჩაატარო.

ოპორტ. თავ-რე:—ნუ გეშინია ჩავატარებ.... ჩა-ვა-ტა-რებ!

— ალლო!... ლაპარაკობს ნიანგკორი სოფელ მაჩხაანიდან სიღნაღის რაიონი...

...სასოფლო საბჭოს უნდა შეეგროვებია საგაზაფხულო თესვისათვის 870 ფუთი თესლი. თებერვალი დადგა...არც ერთი ფუთი თესლი არ არის შეგროვილი. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს სათესლე ფონდების განიავებას....როგორ მოვიქცეთ!

**ნიანგი**—რაო!? როგორ თუ არც ერთი ფუთი არ არის. მაშ რას ფიქრობენ? ციდან ხომ არ მოელიან მანანას?.... არაფერი უნდათ დათესონ? იქნება ფიქრობენ, რომ სახელმწიფო მიაწოდებს თესლს და შეეხვეწება თქვენი ჭირიმე დათესეთო! ის დრო მოკვდა! არ წაიკითხეს ამხ. გერმანეს განცხადება? ტყუილა არ იფიქრონ, რომ სათესლეს სესხად მისცემს მთავრობა.. ადგილი აქვს განიავებასო? როგორ თუ განიავებას... დაჰკარ.. და გაანიავე სათესლე ფონდების გა-?-ბლები... სწრაფად... ჩქარა 2294 ფუთი სიმინდის თესლი...

## ჭიათურის რაიონი

— ალლოო!....ლაპარაკობს ნიანგკორი ჭიათურის რაიონიდან... მოგახსენებთ, რომ კოლმეურნეობებს მოსავლის განაწილების დროს დაავიწყდათ სათესლე ფონდების გამოყოფა. კოლმეურნეობებს აკლიათ 2294 ფუთი სიმინდის თესლი...

**ნიანგი**— რაო? სათესლე ფონდების გამოყოფა დაავიწყდათო! ჰმ! ჭამა ხომ არ დავიწყებიათ! რას ქვია დაავიწყდათ... მაგათ ალბად გაზაფხულზე თესვაც დაავიწყდებათ, თუ არ მოაგონეთ.... დასცხე ადგილობრივ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებსაც არ ესმით, რომ ყანების დასათესად სათესლე სიმინდი არის საჭირო.

## სტალინისის რაიონი

— ალლოო!... ალო... ლაპარაკობს ნიანგკორი სტალინისიდან. კარტოფილის თესლის მოსამარაგებლად არავითარი ზომები არ არის მიღებული, როგორ მოვიქცე....

**ნიანგი**:—რაო? როგორ თუ ზომები არ არის მიღებული? მაშ აქამდე რას აკეთებდენ? ბუზებს ყლაპავდენ? როდის ფიქრობენ ზომების ?-ღებას? გადაეცი, რომ ახლა ნიანგი მიიღებს ზომებს იმათ წინაამდეგ, ვინც ასე ოპორტუნისტულ შეუფასებლობას იჩენს კარტოფილისადმი, აიყვანე ალირიცხვაზე ყველა, ვინც კარტოფილს აბუჩად იგდებს—მე თვითონ ჩამოუვლი სათნადო სამეურნეო მოწყობილობით. თუ მედიკამენტები არ გამოგლევია, შენ თითონ უწამლე ჩემს ჩამოსვლამდე... ოღონდ თესლი დამზადებული დამხვდეს, თორემ შენც „გიწამლებ“... ჩქარა! თესლი!!

— ალო! ალო! ალო! ყველას! ყველას! ყველას! მოისმინეთ ნიანგის ბრძანება!

... „ნიანგკორებო, ჩემს სამფლობელოში მოსული ცნობებით, მთელ რიგ ადგილებში სათესლეს ეხლა ეძებენ... ეხლა, როდესაც ზაფხული კარებზე აკაკუნებს! ცნობები მოწმობენ აგრეთვე იმას, რომ მრავალ სასოფლო საბჭოში მომხდარია სათესლე ფონდების განიავება...

ვბრძანებ:

24 საათის განმავლობაში ჩაატარეთ ყველა ოპორტუნისტების აღრიცხვა, დაამწკრივეთ ერთად და ჩამოუვლი სათითაოდ სათანადო სამკურნალოს შესაშხაპუნებლად.

გამნიავებლები განიავებულ იქნენ თანახმად ა-წ 7 აგვისტოს დადგენილებისა.

არც ერთი გრამი თესლი არ დააკლდეს სოციალისტურ მინდვრებს..

ვბრძანებ: დახარისხებული და შეწამლული დამიხვდეს ყველა სათესლე მარცვლეული, თორემ დამნაშავენი ჩემი ხელ-ით იქნებიან შეწამლულნი“.

ნიანგის ადიუტანტი:
**სეზეირ-ბენ-შეიხ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაბრიელის დამოკიდებულება ტეხნიკისადმი

გაბრიელ თვითდენაძეს ქარხანაში კაი კოხტად მოწყობილი კაბინეტი აქვს. რა სახის ლოზუნგს იტყვით, რომ მის კედლებს არ ამშვენებდეს. ტეხნიკის დაუფლების შესახებაც, რა თქმა უნდა, თვითდენაძეს თავის დროზე „უფიქრია“.

— ჯავაკრათ ლოზუნგები—თვალისათვის კაია,—„ასაბუთებდა“ გაბრიელი ფაბკომთან საუბარში ტეხნიკის ათვისების შესახებ.

— წრეებიც უნდა ჩამოვაყალიბოთ. პრაქტიკულად ვამეცადინოთ —შესთავაზა ფაბკომის თავმჯდომარემ.

— წრეები? რის წრეები, ოსოავიახიმის?

— არა, ტეხნიკის დაუფლების,

— მაგი ჩემი საქმე არაა, მე პარტიული საქმეები მაქვს!-

— ტეხნიკის დაუფლება უპარტიო საქმეა თუ? ამხ. სტალინმა განაცხადა, რომ ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტეხნიკასო.

— ბოლშევიკებიო, მარა, თქვენც აიღეთ და ბოლშევიკ ზეინკლებს, ხარატებს და იმათ შეგირდებს დაავალეთ დაუფლება.

— აქ დავალების საქმე არაა ამხ. გაბრიელ, ეს ჩვენი მოვალეობაა, ამას ბელადი გვასწავლის, სოციმშენებლობა მოითხოვს!.

— მოითხოვს და ქე გავაკარი აგერ პლაკატები კაბინეტში. იქ ქებით ოაცხა!

დაახლოვებით ამგვარი საუბარი ჰქონდა თვითდენაძეს ფაბკომის თავმჯდომარესთან იმ პერიოდში როცა ამხ. სტალინმა წამოაყენა ლოზუნგი მოწინავე ტეხნიკის დაუფლების შესახებ. გაბრიელმა თავისი მუშაობა პლაკატების გაკვრით ამოწურა. ქარხკომში კი „რაცხა“ მართლაც გაკეთდა: ჩამოყალიბდა ტეხნიკის შემსწავლელი წრეები, რამოდენიმეჯერ მეცადინეობაც კი ჩატარდა. მაგრამ მალე ყველაფერი ისევ დაივიწყეს. ეს მოხდა იმის გამო, რომ ქარხკომის თავმჯდომარე სხვაგან იქნა გადაყვანილი. წრეებს კი ხელმძღვანელობა მოაკლდა, არავინ მიამაგრა მათზე ფაბრიკის ინჟინერ-ტეხნიკოსები.

პირველი ხუთწლედის შედეგებზე ამხ. სტალინის ბრწყინვალე მოხსენება, შეხვდა მისი სიტყვის წლისთავს—ტეხნიკის დაუფლების შესახებ.

„მთავარია გვქონდეს მტკიცე ბოლშევიკური სურვილი — დავეუფლოთ ტეხნიკას, თუ ასეთი სურვილი იქნება, შეიძლება ყველაფრის გადალახვა“.

ტეხნიკის დაუფლებისათვის ბრძოლის დარგში მიღწეულ წარმატებების შესასწავლად ნიანგმა [illegible]ელინა თავის წარმომადგენლებ[illegible]შიც; № ფაბრიკაშიც ვიყავით. აქ თვითდენაძეს წავაწყდით.

— ლოზუნგები ბლომად გაქვს. როგორია რეალური შედეგები?

— რაც შეეხება იმ შედეგებს, რომელიც რომ შედეგები. ესე იგი ვთქვათ ტეხნიკის დაუფლებაზე— შედეგები ჯერ გამოურკვეველი უნდა იყოს. ჩემი მხრით კი აგერ ყველაფერი გავაკეთეთ—(თვითდენაძე ლოზუნგებზე მიგვიშვირა ხელი).

— წრეები თუ არსებობს [illegible]?

— ალბად უნდა იყოს რაცხა წრეები.

— თქვენ რა მონაწილეობას ღებულობთ ამ წრეების მუშაობაში და ტეხნიკის დაუფლებისათვის ბრძოლაში საერთოდ?

— მე? მე ისედაც [illegible] ვარ. წრეებში მე ხომ არ ვიმუშავებ[illegible]?.

— მუშათა გამომგონებლობას თუ ექცევა ყურადღება?

— ჩვენს ფაბრიკაში ყველაფერი გამოგონილი დამხვდა, რაც საჭიროა და რაღა ყურადღება უნდათ?

— ახალ მანქანების ათვისების საქმე როგორაა?

— გვყავს ინჟინრები, მათ ქე იციან მანქანის საქმე და ჩვენ რაში გ[illegible]?

— როგორ თუ რაში. განა ასე გესმით ლოზუნგი ტეხნიკის დაუფლების შესახებ?

— ლოზუნგებს რაც შეეხება, აგერ, გავაკარი. მარა ახლა ზეინკლობას თუ შევისწავლიდი არ მეგონა!

ნიანგმა შესაფერისი დასკვნა გამოიტანა თვითდენაძის ოპორტუნისტული დამოკიდებულების შესახებ ტეხნიკის დაუფლების საქმისადმი, ის საჩანგლე კანდიდატად ჩაინიშნა, რადგან პარტიული წმენდისათვის ამზადებს თვითდენაძის ატესტაციას. № ფაბრიკა კი შეფობაზე აიყვანა და დღეიდან იწყებს მუშაობას თვითდენაძეების მიერ დაშვებულ შეცდომების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

ბოლშევიკებმა უნდა დაიპყრონ მოწინავე ტეხნიკის მწვერვალები! ამაში თვითდენაძეც მალე დარწმუნდება.

თარსი.

## თესვა და „თესვა“

ზოგი საქიღს აწვრილმანებს,
ზოგს კი საქმე ისე ესმის,
რომ გადახრად მემარჯვენედ
ეჩვენება საქმე თესვის.
თუ არ დასთეს, ვერას მომკი,
„ბუდიშ ნასით ხლება გუდით“,
მაგრამ გუდას ჩასადებიც
პურის ხემსი აღარ „ბუდით“.
მარტო პურსაც ხომ არ ვთესავთ...
დროზე უნდა, დროზე თესვა,
თუ ავს იზამ, — არ დათესავ,
ვერ მოიმკი სიკეთესა.
მაგრამ თესვის მნიშვნელობა
მრავალს ესმის სხვანაირად;
რასაც მე აქ ჩამოვყვები—
დამიმოწმებთ, — ხდება ხშირად.
ზოგი თესავს ორპირობას,
თესავს იჭვებს, თესავს ჭორებს,
ხელებს ითფოს სიძნელეზე
და ათას ჭორს იმეორებს.
ზოგი ჩვენს ზრდის სიძნელეებს
ჰკურნავს თესვით პრტყელ-პრტყელ
ფრაზის,
„მემარცხენეს“ სამოსელით
მემარჯვენეს სკამზედა ზის.
ზოგი თესავს... მაგრამ იცით,
რასა თესავს, ჩემო ძია?—
თესავს იმას, რაც მას მართლაც
არც უხნავს და არც უმკია:—
თესავს ხალხის სა[illegible]ბას,
ითვისებს და ანიავებს
და ეშმაკად ასეთ თესვის
„აბანოში“ [illegible].
ზოგი თესავს სულ „ნატურით“
თესავს „მტკიცედ“ და „ერთგულად“,
ზოგი (მსგავსი „ბოხთა“ ჯიშის)
ანიავებს სახსრებს ფულადს, —
ასე იგი. თესავს. რაოა!—
თესავს ჩუმად, მარჯვენით, მარცხნივ.
მაგრამ ხშირად ამგვარ თესვას
ყვება ხოლმე „მცირე“ მარცხი.
[illegible]
[illegible] „თესვის წესი,
რომ მთესველიც უნებლიედ
ხშირად ხდება „დანათესი“.
ჩვენ კი გვინდა ის დავთესოთ,
რითაც დოვლათს მოიმკით ბოლოს,
მუქთახორა „მთესავ“-მკელი
ქიბით უნდა ჩაიჭლოს.

მ—ზა.

# გამომგონებელი

გამოგონება ტეხნიკის დაქროლების მთავარი ფორმაა.

რამდენი რამ არის ისეთი, ' ამ მისი „წამლის“ გამოგონება-ტეხნიკის დაუფლება სულ ' მოათქმევინებს მო ქალაქეს, მაგრამ ცალ-ცალკე რომ განვიხილოთ, თუ ვის რ გამოგონე-ბა უფრო აინ_ რესებს, აზროთა დიდ სხვადასხვაო '. მივიღებთ. ამ საკი-თხზე თუ ვის რისი გამოგონება უფ-რო აინტერესებს, ღიადად გამიტაცა და განვიზრახე ' მიმართულებით სხვადასხვა პირების აზროთა შეკრება.

— რისი გამოგონებაა თქვენთვის უფრო საჭირო და აუცილებელი '- შევეკითხე სახელგამიდან გამოსულ მწერალს.

—. ჰმ, განა არ იცი? — ირონი-ულად გაიღიმა მან: - მე მი'და ისე-თი ხერხის გამ გონება, რომ მოქა-ლაქე ორ ნახევრად 'აიჭრითოს, 'იუ რომ ორივე ნახევარი ცოცხალი და მოქმედი დარჩეს.

— რად ნატრულობ ასეთ ახირე-ბულს?

— იმიტომ, რომ მაშინ შეიძლება ერთი ნახევ... მუდამ ს... ს ბუღალტერიის სარკმელთან იყოს და ელოდეს იმ ნეტარ წუთს, როდე საც სახელგამს მოესურვება ჰონორა-რის გაცემა, მეორე ნახევარი კი და-

# მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

ნახ. დონის



— როგორ გამხდარხარ შე უბე-დურო, რა დაგემართა?

— როგორ თუ რა დამემართა, არ იცი, რომ საბჭოთა მეურნეობაში ვმუშაობ და შიმშილით მკლავენ?

ჯდება მაგიდასთან და გააგრძელებს მუშაობას. ახლა კი ერთი დღის ნა-წილი ჰონორარის აღებ'ში სახელგამ ში ასი დღე უნდა იყურყუტო. ერთი სიტყვით ვინც ადამიანის მარცხოვ ორად გახერხვის საშვალებას გამოი-გონებს, ედისონი იქნება.

— შენ რის გამოგონება უფრო გაინტერესებს? - შევეკითხე სოფლი დან გამოქცეულ კულაკს.

— უჩინ მაჩინის ქუდ'ს. ზღაპარში გამიგონია და სინამდვილეშიც რომ მაშოვია ასეთი ქუდი, ჩემთვის მისწ-რება იქნება; თორემ ვერსად დავი-მალე, ყველგან მაჩნევენ...

— თქვენ?.. - შევეკითხე ერთერთ სტუდენტს.

— მე ვისურვებდი ისეთი ინსტი-ტუტის გამოგონებას, სადაც მთელი წელიწადი არდადეგები იქნება.

— მე კი იმისთანა აკუმულია-ტორი მინდა, რომელსა' შეეძლება ჩაივლოს კბილი ტრამვაის კიბეებზე დაკიდული მგზავრებს და ხელში მო-მაჩეროს... - თქვა მილიციელმა.

— მე კი მინდა, რომ წელიწადში 365—ის ნაცვლად 1365 დღე იყოს, რომ დამატებულ 1000 დღის განმა-ლობაში მაინც ავიძლო სახელგა-მისაგან გამოცემული ზოგიერთი დი-დი რომანების წაკითხვა. - მითხრა ერთერთმა იწიგნობარმა.

— მე კი მინდა ისეთი კალენდარი გამოვიგონო, რომ ე' კვირაში ოთ ხი პარასკევი ყოს; ეს ზუსტად შე-ფერება ჩემს გასწორობილებას. - მით ხრა ახალგაზრდა კრიტიკოსმა და მე ღიდურად გაიღიმა.

სიპიტო.

# ო რ ი ბ ა ვ შ ი

ნახ. დონის.



ოპორტუნისტი: - მე მგონია, უმჯობესი იქნება, რომ ცხენის სა-წვრთნს ბავშვებს გადავსცემდეთ, ეს მათი საქმეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადარჩევა

მაწონგაერთიანების ადგილკომის თავმჯდომარეს, საანგარიშო კრების გამო საზეიმო იერი ჰქონდა, ახალი პალტო ჩაეცვა და ბოხოხი განზე მოედო.

—თვითმომარაგებული პალტო აცვია ჩვენს ადკომს,-მუჯლუგუნით ამცნო მოანგარიშემ ბუღალტერს.

—შენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს შეხედე, როგორი შვენის ახალი ოლვარი,-ჩაიცინა მოლარემ.

—ეგ შალვარი მიჰქარავს კოოპკომისიის თავმჯდომარის პოლუშუბკასთან!- ოხვრით უპასუხა საქმის-მწარმოებელმა,

—ამრიგათ,- ამბობდა ადგილკომის თავმჯდ.- ჩვენს მიერ მუშაობა ჩატარებულია სათანადო ორგანოთა სათანადო მითითებების საფუძველზე. მართალია ნაკაზი არ შესრულებულა და კოლხელშეკრულებაც დარღვეულია, მაგრამ აქ ჩვენ თითონ არაფერ შუაში ვართ...

კამათში აღინიშნა, რომ კულტმუშაობასთან ერთად განსაკუთრებით სუსტი იყო მომარაგება და ადგილი ჰქონდა თვითმომარაგებასაც. ადგილკომის თავ-რემ საბოლოო სიტყვაში გამანადგურებელი პასუხი გასცა ორატორებს.

—არავითარი თვითმომარაგება არ ყოფილა: მუშამოსამსახურეებისათვის გამოვიტანეთ საქონელი, მაგრამ ცოტა იყო და ყველას აღარ ერგო... მე მინდოდა. პოლუშუბკა, მაგრამ მაგ ოხერ კოოპკომისიის თავმჯდომარეს განზრახ გამოეტანა თავისი ზომის და რაღას ავიღებდი!.. არა, კი ავიღებდი, მაგრამ გადაკეთება სჭირდებოდა და როგორც იტყვიან, ჩიტი ბდღვნად არ ღირდა... შემდეგ მოვინდომე შალვარი. მაგრამ რევკომისიის თავ-რეს წაეღო სახლში! აგერ აცვია კიდეც!.. დამრჩა პალტო, რომელიც ზედ მაცვია. რაც შეეხება თეთრეულს, ყველა მე არ წამიღია, ნაწილი გამგეობის თავმჯდომარემ გაუგზავნა თავის ცოლს და ცოლის დებს

რეზოლიუციის მიღება გაჭიანურდა. ადგილკომის თავმჯდომარის ცოლის-ძმამ (იქვე მუშაობს), ბიძამ (ისიც იქვე მოეწყო) და მამიდამ (იქვეა მემანქანედ) შეიტანეს შემდეგი წინადადება:

—„ადგილკომის მუშაობა ცნობილ იქნეს დამაკმაყოფილებლად, ხოლო აღებული გეზი-სწორად.“

ვინ იცის, რა მოყვებოდა კენჭის ყრას, რომ დამლაგებელს არ შეეტანა წინადადება, ადკომის, რევკომისიის და კოოპკომისიის მთელი შემადგენლობის დაშლისა და გადახალისების შესახებ.

ეს წინადადება მიიღეს.

—„თქვენ წინადადებები მიიღეთ, მე პალტოებს და ფეხსაცმელებს მივიღებ,-ჩილიმებოდა ადკომის თავმჯდომარე,-ერთი ის შაქარი გამოვიტანო და მერე ჯანაბამდე გქონიათ გზა...

—გადამირჩიეთ, გადამირჩიეთ. თეთრეულით და შალეულით უკვე მომარაგებული ვარ. ერთი ის საწოლებიც გამოვიტანო!...“

მცირე უკმაყოფილება ეტყობოდა რევკომისიის თავ-რეს:

—ამის რიჯული არ იყოს! ერთი წელია რევკომისია ვარ, სულ მერგო ერთი შალვარი, ისიც მოკლე და ორ ადგილას თაგვის გამოხრული... მართალია, რევიზია არც კი გამიკეთებია, მაგრამ ერთი წლის დატვირთვაში ერთი შალვარი, ისიც გამოხრული!.. ეჰ, წავიდე, ის ყველი და კარაქი მაინც წავიღო სახლში, სულერთია, თვითმომარაგება მაინც დამაბრალეს!..

ოლოარ-ალოარსან,



## ჰიტლერი—გერმანიის პრემიერი



## მეორე ინტერნაციონალი— —ფაშიზმის იარაღი



# კეტი დიქტატორი

ნახ. მარიაშის.

ჰიტლერის ფაშისტურმა მთავრობამ დაითხოვა გერმანიის რეიხსტაგი და დანიშნა ახალი არჩევნები, რომ თავისი ხალხი გაიყვანოს.



მოვარდა იგი ღრიალით, ხელში უჭირავს კეტია
დეპუტატები განდევნა, თავს დაასხა რეტია.

## ერთი მრავალთაგანი

(ქუთაისი)

ამ დღეებში ქუთაისის განათლების განყოფილებასთან ხალხის გროვას წავაწყდი. ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა ხალხის წრე გავარღვიე და ტალახში ამოსვრილ მომაკვდავ ცხენს წავაწყდი.

ცხენმა ჩემს დანახვაზე სიამოვნებით გადმომხედა, მიცნო მუშკარი ვიყავი და ლუღლუღით დაიწყო თავისი ავტობიოგრაფია:

მე დავიბადე 8 წლის წინად, ვეკუთვნოდი ჯიშიან ცხენთა შთამამავლობას. პირველად დავიწყე ფიზიკური მუშაობა ქუთ. მაუდის ფაბრიკაში, ჩემ ძმასთან ერთად. ვმუშაობდით ერთგულად. პატრონიც გვანებივრებდა. ყველას მოვწონდით.

ეტლში გაბმული ამაყად დავქროდით ქუთაისის ქვაფენილებზე.

ერთი წლის წინად ჩვენ გვიყიდა განათლების განყოფილებამ. ყველა მივლინებული თუ მოვლინებული ჩვენი გადასაყვანი შეიქნა.

კვებისა და მოვლისათვის კი არავინ იწუხებდა თავს. მთელი დღეები ვშიმშილობდით. მივლინებული ხალხი პირველად თავის კვების საკითხს მოაგვარებდა. ჩვენ მხოლოდ უკან დაბრუნებისას მოვაგონდებოდით. ბევრჯერ დავარდი სიმშილისაგან. მაგრამ მეეტლეს შოლტის ტკაცანი უკანასკნელ ძალას გვაკრეფინებდა, რაც ჩქარა შემოგველია. საკვები მასალის მოუმარაგებლობის გამო პატრონმა გოჭოურას ტყეში გაგვერეკა, სადაც ჩემმა ძმამ სიცივისა და სიმშილის გამო თავისი მძორი მღ---ზე ჩააბარა. ჩემი თავი კი კომგანმა ვალში წაართვა, იქაც დაუზოგავი შრომა და არა ნორმალური კვების გამო ცუდი დღე დამადგა.

არ მოეწონა ჩემი მდგომარეობა გარსოევს და განაცხადა: „ვინც არ მუშაობს, საკვებს არ მიიღებს"-ო და თავლიდან გამომაგდო და ბოძზე მიმაბა.

უკვე 7 საათია ქუჩაში, მომაკვდავი, სულს ვებრძვი; მეხვევა ხალხი, იგონებს ჩემს წარსულ სილამაზეს -პამსუქნეს, ჩემს გმირულ მუშაობას. იგონებენ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებას და ლანძღვა გინებას უგზავნიან ჩემს პატრონებს.

მე იმედი მაქვს ჩემი ტანჯვით განვლილი ისტორია თავდები იქნება, რათა ადგილებზე დააჩქარონ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების გატარება, რაც უზრუნველყოფს დანარჩენ ჩემს მ--ეებს.

ასე დაამთავრა თავის ავტობიოგრაფია განათლების განყოფილების ჯერ კიდევ ახალგაზრდა ცხენმა.

ეკალ-ვარდი.

## ოპორტუნა ქაქანაძე

ოპორტუნა ქაქანაძემ ცენტრიდან ცირკულიარი მიიღო საგაზაფხულო თესვის დროულად ჩატარების შესახებ.

— რა დროს საგაზაფხულო თესვაა, როცა ჯერ მხოლოდ

თებერვალი დადგა,
ხევში წყალი ჩადგა....

ცენტრში ალბად დაავიწყდათ წელიწადის დროები. მე შეცდომაში ვერავინ შემიყვანს. მე კარგად ვიცი, რომ გაზაფხულს მერცხალი უსწრებს წინ. აკაკი წერეთელიც ასე გვასწავლის:

დღეს მერცხალი შემოფრინდა
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული, გაზაფხული"—
გულს იმედი დამესახა....

და რაკი მერცხალი ჯერ არ მოფრენილა, გაზაფხულიც, ჯერ შორს არის. ამიტომ საგაზაფხულო თესვაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია — ეუბნებოდა იგი თავის ერთგულეს მეგობარს თავისთავს.

— ნუ თუ ცენტრში არავის გაუგონია:

გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია.
ჩვენ სალხენად კოკობ ვარდსაც
ეშხით გული გაუღია.

აბა, გახედონ მიდამოს და თუ სადმე დაინახონ „ბუჩქის ძირას ნაზი ია", ანდა —„კოკობი ვარდი",—რაც უნდა ის მიყონ.

არა, მე შეცდომაში ვერავინ შემიყვანს. სანამ მერცხალი არ მოფრინდება და ია-ვარდი არ აყვავდება, მე თესვის შესახებ ჩემს ტვინს არ შევაწუხებ,—ასე გადაწყვიტა ოპორტუნა ქაქანაძემ და ამოუშვა ხვრინვა (ე. ი. დაიძინა).

ვინ იცის სანამდე იძინებდა (გაზაფხულამდე მაინც), რომ მუშგლეხინს მისთვის ძილი არ დაეფრთხო და არ მოეხსნა კოლექტივის თავმჯდომარეობიდან.

დაყიყი.

## ნოეს კიდობანი ([illegible])

ნოე კიზირიავ,
მარქვი, ერთი რამე:—
რატომ არის შენთან
მუდამ შავი ღამე.
ღიმილს რომ შევხედავ
შენს სახეზე. ძმაო,
მიხარია—მზად ვარ
ვზიდო ლოდი, ქვაო.
მართალია — გული
გითქვამს, როგორც გინდა!
საქმეს როგორც უნდა,
ჯერ ვერ ვხედავ წმინდას.
გვიცქერ—თითქოს წვალობ,
გიცქერთ—და რას ვხედავთ?
ტიტველ დაპირებას
და ჩვენ ტანჯვა-სევდას
ზარისხოსთან ჩრდილი
შენი ატუზულა!
დათვი ვერ მოჰკალი
და ვერც მოჰკლავ ტურას
გადახედე, ნოე,
რაიკავშირს ერთი —
ვინ ვინდა არ ნახო:
ხატი, ჯვარი, ღმერთი.
არ მსურს შეგაწუხო,
არც მსურს გავაგრძელო,
დღეს პირველად ლექსით.
ვსვამ შენს სადღეგრძელოს

ჭაჭნელი ბზიკი

### „სამზადისი" თესვისათვის



— რას ეძებთ კაცო ამ თოვლში?
— შარშან ტრაქტორი დაგვრჩა და ეგებ არის სადმე!

# გოგიას საიუბილეოდ

## მაზალო ამბავი

(ვუძღვნი გ. ნუცუბიძეს)

არ გაგიგიათ ჩემი ამბავი? არა? ძალიან მაღალი რამეა და. არხეინად აშპაშხანის დუქანი ვქონდა. ჩამაცივდა ეს ჩვენი ბოლოლოწო პეტრუშ არაქელიჩი თუ, კაცო, ქვეყანა წინ მიდის, შენ კი ისევ დაბალ ხელ ა-ბა გიჭირავსო, აბა, რა არის აშპაშხანა? მეუქიკური რესტორანიაო, მოდი მაღალი რანგის რესტორანი გავაღოთო. ვეუბნები, მაღალ-დაბალი, რომელია, ფულს ხომ ვიგე, სულ-ერთი არ არის — მაშ ჩემი ჰაიკანუ-შა რომ დაბალია, გადავაგდო მეთ-ქი? ასე იყო თუ ისე, აზრიზანაში დამიყოლია ამ ხნის კაცი, პეტრუ-ზაც შევიამხანაგე და გავაღეთ, — უბრალო რესტორანი კი არ გეგო-ნოთ, — პირველ ხარისხოვანი რესტორანი. ზედაც ფირნიში მივაკე-რეთ: „რესტორანი ივერია გეუ-პეტრ". ე. ი. გეურქასი და პეტრუ-ზასი რაღა! წინეთ თუ ერთი კერძის მეტი არ იხარშებოდა ჩემს დუქანში, ეხლა ქვიანი მზარეული დავიქირე და ჩემს მენიუში სულ სხვადასხვა ფასონის საჭმელები გავაჭრილე: „კონსომე დევოლიამი", „ოფანზერბ ომლეტამი", „რისტბიფ პა-ანგლიცკი", „შნიცელ პა ვენსკი", „ფრი-სოტე", „ბეფ-სტროგონოვ", „კატ-ლეტ პაჟარსკი", და სხვა... ჩაროზაც სულ ფრანცუზული სიტყვებით აიავ-სე: „კოთე - პა ვარშავსკი". „პიჩე-ნი—ნაპოლეონ" და სხვ. ვნახოთ, შემოდის ერთი აყლაყუდა. ჯერ კარგი მეძებარივით აქეთ-იქით დასუ-ნა. მერე დაჯდა. მოითხოვა „კარ-ტოჩკა" და დაიღმიჭა: „ეტყობა ეს რესტორანი კოოპერატიული არ არისო". ვეუბნები: „არა. ეს ჩვენი რესტორანია — გეურქასი და პეტ-რუზასი"-მეთქი და შიშისაგან ჩაწე-ულ ლამფას დავემზგავსე. „ჰო-და, დღეის შემდეგ მოსპეთ ეს „მენიუს" ქაღალდი და ახალი „კარტოჩკა" დასწერეთო: თქვენს საჭმელებს: ამ-ხანაგო. კონტრ - რევოლუციონუ-რი სუნი უდისო. — აბა რა არის: „კატლეტ პაჟარსკი"... ნუ თუ არ იცით. რომ პაჟარსკი გენერალი იყო და ეხლა რომ ცოცხალი ყოფილი-ყო „სოვეტსკი კლასტის" მტერი იქ-ნებოდაო? ან რა არის ეს „ბიფ-სტროგონოვ". სტროგონოვი იყო პო-ლოლატე და კულაკი. შენ კი ჩვენს წითელ კუჭებს თეთრი ემიგრანტე-ბით ასებო! ვაა! ისე შემეშინდა, რომ ნახევარი მეტრით დავიპატარავ-დი. ვეუბნები: „გრაჟდანინ - ტავა-რიშჯან, დღეის შემდეგ, ვინ პირძა-



თეატრს ემსახურა
ოცდაათი წელი,
ბევრი გადალახა
დაბრკოლება ძნელი!
თან ბევრიც დაწერა"
პიესა თუ სცენა,
ჩარჩი მატყუარა
მათ გაგვიცნაწყენა.
დღესაც მარჯვედ ხმარობს
ის სატირის კალამს,
ნიანგიც ამიტომ
უძღვნის ძმურად სალამს,
ვაშა ჩვენს გოგიას
შიათურელ მუშას,
კვალად დაჰკარ მტრებსა,
დაჰკარ. არ გაუშვა".

---

ღლი მაგ სახელებს გააჭაჭანებს! მა-გისთვის გაწყენინებ-მეთქი? მეორე დღეს ახალი „კარტოჩკა" შევადგინე და „კატლეტ პაჟარსკის" ნაცვლად დავაწერე: „როსბიფ - პა ადერბი-ცვაძე"; კონსომეს ნაცვლად დავწე-რე: „სუფ-რაბოჩი - კრესტიანსკი". სადაც იყო: „როსბიფ პა-ანგლიისკი", დავაწერე: „როსბიფ - პა ადერბი-ჯანსკი"; პეჩენია ნაპოლეონს დავა-წერე „პეჩენია ნიკო გოცირიძე"; ერთი სიტყვით არ დამიტოვებია არც ერთი პასუხისმგებელი ამხანა-გის გვარი. ნაროდნი არტისტები; პოეტები... ინგლის-ამერიკის მაგი-ვრად ყველგან ჩვენი სახელები რა პ. ბლოკები დავწერე: ... ცხინვალსკი და სხვ. მაგონა საქმე მ... შევიდა მეთქი გრამ საქმე არა გაქვთ, ის გახსარია ბოლომდე, რომ მე გადახარ... შემოკვიდნენ ერთხელ ... — მეზურნე - ბრიგადირები და მიყ-ვირიან: შენაო. ჩვენს ტარიფებს დასცინიო. საქმე სახელების შეკვე-ლაში კი არ არისო, საქმე კერძის ღირსების შეცვლაშიაო. შენ სულ ლიაიტი ხარო, გაია ეს კატლეტი გაია ეს სუფიაო! ხეს. ცეროცვაძის სახელობის კატლეტი კარაქში უნდა იყოს მოხრაკული, შენ კი ზეთში ხრაკავ, მე ძალიანაც ზეთო და მაკ-ხკვლოო! ერთი სიტყვით, ისე გამ-თათხს, ითელი ზავეიას დაგუბებუ-ლი წყალი რომ ჩემზედ მოუშვა — ვერ გარეცხავს. აილეს და — ფარტ — დუქანი მიმიკეტეს. მეორე დღეს, როგორც იყო, ვენაცვალე ჩემს დე-იდაშვილს სედრაკას, შემიბრალა და იმისი ხათრით მუშკოპის გამგედ დამნიშნეს, როგორც სპეცი... სწო-რე გითხრათ, ხელმრუდობა არ გა-მიწევია და ჩემს საქმეს პირნათლად ვასრულებდი. ვნახოთ, ერთხელ მო-... ერკოპში ერთი გაწიწმატებული ქალი და მეუბნება:

— ეს რა არის!

— პური, — ვეუბნები.

— მეც ვხედავ. რომ პურია, მაგ-რამ როგორი პურია? ... ჰხედავ ... ტარაკანაა, აბა, ერთი მითხა-რით. პურში ტარაკანს რა უნდა, მე ტარაკანა სუფში გამიგონია, მაგ რამ ტარაკანა პურში?...

— მადამჯან, ... თქვენ სათვალებით, ეს ტარაკანა როდია?

— მაშ რა არის?

— რა და ქიშმიში! აი, შეხე-დეთ... — ... და ... — მადამჯან. ჩვენ ქიშმიშიან პურს ვა-ჭმევთ. შენ კი ილანძღები?

როგორც იყო გამოვძვერი ამ ხა-თაბალიდან... „ოკაკრადავათ" და წა-ვიდა. ჯერ ეს მუშტარი არ გასუ-ლიყო, რომ ახლა მეორე ქალი შე-მოვიდა გინებით:

— ასეთ ძველ კვერცხებს რომ ჰყიდით — სირცხვილი არ არის? მუშკოპი მაინც არ გერქვათ.

— ეს კვერცხები სულ ახალახალი კვერცხია...

— დამცინით, თუ რა არის? — შემეწყვეტინა ქალმა, — ლაყია. ამ-ხანაგო, ლაყე და ასონიშნული კვერ-ცხი ზიდ ცხვირთან მომიტანა.

— მე თქვენ გეუბნებით, რომ ეს კვერცხები ლაყე არ არის, აი თუ არა გჯერა... ადიქი და იმის თავ-ლწინ ეს ლაყე კვერცხებიც — ყლაპ-გადაუძახე ხახაში.

მერე როგორ გადამიხადის სამაგიე-რო? გამწმენდმა კომისიამ — გამწ-მინდა. მიზეზი? შენაო ყოფილი ვა-ჭარი ხარო. კაცო. მერე რა არის, რომ ყოფილი ვაჭარი ვარ. ..., რომ ... იყოს, განა მთავრობა ივაჭრებდა? ტოლტუკ, ტოლტუკ მიც ვითომ ერკოპის ერთგულობა დამი-ფასეს რაღა! ფირუზა.

# მოდი, ნახე!



## პავლე „ბატონი“

ჭიათურის მუშათა თეატრის რეჟისორმა პ. ფრანგიშვილმა მსახიობებს აუკრძალა მისი სახელის უბატონოდ მოხსენება.

— მე ბატონი რეჟისორი ვარ და ბატონობით მომმართეთო-განაცხადა მან.

**კრაზანა**



რომში ...და პავლეშ
ოცნება იწყო სვიანი
წარმოიდგინა: გამხდარა
ბატონი დიდი ყმიანი
წინ დაესახა ოცნება
მთასავით ამოზიდული
და უპირველეს ყოვლისა
გამოიცვალა ტიტული.
ბრძანება გასცა:
— დღეიდან
თუ ვინმე პავლეს მიწოდებთ, —
ასეთი მომართვისათვის
დედას გიტირებთ, იცოდეთ,“
თან ცხეირი ზევით აშართა
პოზა მიიღო ზვიადი
თქვა:
— მე ბატონი პავლე ვარ,
პავლე ბატონი, დიადი..
ჩვენ კი „ტყავს ვაძრობთ“ ბატონებს
ვინც ბატონობას იქადის, —
„პეტრეც ვერ მიეშველება“
...ლით კუდის რიკამდე!

## ვერ უშველა

ჭიათურის თამბაქოს ტრესტის მაღაზიის გამგემ ვასო პაპაიძემ რამოდენიმე ათასი მანეთი გ ...ლანგა.

**კრაზანა**



ამასთანა კავშირა ნათქვამი:
პურმარილის მოყვარული
ქეიფობდა ვასო
პურმარილით გაიტანდა
ჰქონდა ამის სასო.
ამ იმედით იქეიფა
არ მომცდარა „ტყულა“
და შედეგად მან გამსახლის
კარი იხახულა.

## ამოსწურა!

სამტრედიის რკინის გზის საამშენებლო რაიონის თანამშრომელმა სიმონ ვაშაკიძემ დახია გაზეთი „დაჭკრელი რკინისგზელი“ მის გამო, რომ გაზეთში გაწერილი იყო ვამაკიძე, რომელმაც უმიზეზოდ გააცდინა 3 დღე.

**რ—ტი**



ვაშაკიძე სიმონი
დამკვრელია პირველი!

წაიკითხა გაზეთში
საქმე გასაკვირველი:
გაეცდინა სამი დღე
ვაშაკიძე სიმონსა,
ნიახური ამოცხეს,
მოელოდა ლიმონსა.
მაგრამ „... ...იდება“
არ იფერა ასეთი,
მოუვიდა ბრაზი და
მოახია გაზეთი.
სჩანს ბრძენაა სიმონი,
ჭკვიანი და ნაკიხი,
ერთი ფურცლის დაფლეთით
„ამოსწურა“ საკითხი! (?)

## იცნობდეთ!

ბორჯომის რკ. გზის ოსტატი ებრ...ლიძე ხშირად ლოთობს, და მუშაო... ბ... დროს უწმაწურად იგინ...ა.

**ბორჯომელ...**



თუ გსურთ ისწავლოთ გინება
გინება შვიდი სართული,—
ებრალიძესთან მიბრძანდით
არ მოაკლდება ქართ...ლი.
მუშებს სულ დედას აგინებს
ვერვინ მიბაძავს კილოში
და ხშირად ძვრება ნუნუას
სასმელად სასადილოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგის საყვირით

## გაფრთხილება

„უკანასკნელი ცნობების თანახმად აჭარისტანში საგაზაფხულო თესვისათვის გათვალისწინებულ თესლეულის მხოლოდ 19 პროც. იყო შეგროვილი“.

**გაზეთებიდან**

გაზაფხული ახლოვდება
მოდის ჟამი თესვის,
აჭარისტანს როგორცა ჩანს
კარგად ეს არ ესმის.
სიზარმაცეს, უთაობას
იქ გაუდგამს ფესვი,



ვეღარ შეუგროვებიათ,
თესვისათვის თესლი.
აჭარისტანს არ შეფერის
აგრე ჩამორჩენა,
თუ უნდა რომ აიშოროს
ვაება და შერცხვენა —
მყისვე უნდა გააჩაღოს
მუშაობა დიდი,
თორემ ამნაირი „ტემპით“
შავ დაფისკენ მიდის!

—:—

## უპატრონო სადგური

„ახალქალაქის სამანქანო - სატრაქტორო სადგურში მექანიკოსის თანამდებობაზე ძსახურობს კომბინატორი ბაბუევი, რომელიც ყალბი საბუთებით და სპეკულიაციით ძარცვავს სადგურს“.

**შორეული**

ბაბუევი რა ყოფილა
შეხეთ ერთი ამას,
სატრაქტორო სადგურისა



დაუწყია ჭამა.
უპატრონოდ დარჩენილა
ეს სადგური ალბად,
ბაბუევიც მიტომა გრძნობს
თავს აქ ასე ლაღად!

—:—

## გარე-კახეთის რაიონი

„გარე-კახეთის რაიონში ტრაქტორების შეკეთებას ყურადღებას არავინ აქცევს. სამანქანო - სატრაქტორო სადგურს ჯერ კიდევ არ მიუღია ტრაქტორების მისაბმელი გუთნები“.

**მეგრელი**

გარე-კახეთის რაიონს
დაუძინია ბილადა,
ალბად არ ელის გაზაფხულს,
თავს არ იწუხებს ტყვილადა!



იქნებ ფიქრობს, რომ ტრაქტორი
მისითაც კი შეკეთდება,
და თესვის გეგმა ძილშიაც
მრავალჯერ გადამეტდება!

## ხონის რაიონი

„ხონის რაიონში საგაზაფხულო თესვის გეგმა არ არის დაყვანილი სასოფლო-საბჭოებამდე და კოლმეურნეობამდე“.

**ხონელი**



ხონის რაიონს ურჩევთ, რომ
საქმეს მოკიდოს ხელია,
თორემ მოხვდება „ნიანგის“
ჩანგალი საშინელია.

—:—

## ჩამორჩენილები და მამაცები

გალს, ოჩემჩირეს, მუხიანს
ქონიათ ტემპი „ჩქარია“,
მიტომაც მუშაობაში,
ჩამორჩენილნი არიან.

ჩამორჩენაში ამჟამად.
ორივე არის ძმობილი!
ყველას წინ უსწრობს მარტვილი
და შემდეგ გორჯაანია.



მათ გვერდს უმშვენებს აგრეთვე
კვლავ ორი რაიონია,
(ამათაც მუშაობაში
„დიდი ტემპები“ ქონიათ!)
ეს არის —წალენჯიხა და
თან საგარეჯო ცნობილი,

რომელთ ქონიათ შრომაში
გამძლეობა და ჯანია!
„ნიანგი“ ასეთ რაიონთ
მამაცებს შრომა-ჯაფაში.
ნიშნად პატივისცემისა
ჩააგდებს წითელ დაფაში.

# ნატანები

(სასადილოდან)

გლეხს იზიდავს აბრა,
აბრა „ეპოს“ არის.
(ეს ხომ რეკლამაა
და მახეა ფარის).

—:—

კერძი ძვირობს ისე,
თავს გესხმება რეტი.
აუტანელია,
ძმავ, მოთმენა მეტი.

—:—

ლოთობა და ჩხუბი
იმართება ხშირად;
„აუზაურისტებს“
თავი მოაქვს გმირად.

—:—

სიბნელეში არის
ბაზარი და ქუჩა
და დასასრულს, ძმაო,
ბოლო აღარ უჩანს“.

—:—

## დეპეშები

— კიბის უქონლობის გამო ფოსტაში შესვლა სწარმოებს ბაწრის საშუალებით.

— თანხების მობილიზაციის მიზნით რკ.-გზის მოლარეებმა ხურდის გაცემა მგზავრებზე შეწყვიტეს.

— ამ დღეებში კოოპსასადილოს გამგე ახდენს იმ ძაღლების აკადემიურ გამოშვებას, რომლებიც აყვანილი იყვნენ სასადილოში მოსადილეების მომსახურეობის მიზნით, რაც გამოიხატება თეფშიდან კერძის აც-
... მათი ლოკვა-გარეცხვის მაგიერ.

— გარდაიცვალა კედლგაზეთი „კოლმეურნეთა ხმა“, რადგან თავის დროზე რედკოლეგიამ ვერ მოჰგვარა ექიმი. რედკოლეგია თავს იმართლებს იმით, რომ იგი სალათას ძალით არის შეპყრობილი.

გრიელი.



სპეკულიანტი:—ძაან გამოვიგონე! სტანდარტულ მეტრიან კუბოებში ხალხი არ ეტევა მე კი ორ მეტრიანს ვყიდულობ და ერთიათად ვყიდი ცოცხალს არავინ მატყუებს და მკვდარს მაინც გავატყუებ.

# კულაკმა თქვა

კულაკმა თქვა: ჩირგვში ვზივარ,
და ფეუცქერი არე მარეს;
ყოფის კარებს აუტკივებ
კოლექტივის თავმჯდომარეს.
ჩემი მიწის ჩამორთმევა

ვინც ითავა, ვინც გაბედა,
ვერც სოფლსაბჭო გაიხარებს,
(ეტირება მასაც დედა).
ბრიგადირსაც არ დავყრი,
თუ ბიჭი ვარ მართლაც ხეირის,
ტრაქტორის ცინტებს ამოვაცლი,
ბოლოს ვნახავ მაგათ ხეირს.
პარტიულებს, ვინც რომ ჩემზე
მწარე-მწარეს გაიძახის.-
მოუხდება, რომ დაეწვა
კარიდამო, შემდეგ სახლი.
საბძელს დავწვავ მაგისათვის,
მომივიდა თავში რეტი,
დამიჭირონ რა მომივა
წყალწაღებულს ამის მეტი!
მაგრამ მაინც ველარ ვბედავ,
რომ მოუნთო ცეცხლის ალი,
თუ გამიგეს შემდეგ თავზე
დაატყდება ვიცი ბრალი.
ახლა დროა, რომ დავთესო
შურის ცოფი, შურის გესლი,
სადაც არის ჩემს მიწაზე
გავარდება ვჭედავ თესლი.
ეს თქვა მან და... ჩირგვს ბრიგადამ
წამოადგა ზარით ხელში.
კულაკი კი ქვემოთ გარბის
ქაფით მოსდის ბოლმა ყელში.

ძნელოდლუ.

„ნიანგი“-ს
შემდეგი № რი გამოვა
25 თებერვალს

# ლანჩხუთი

ნიანგო მოინახულე
ეს ჩვენი რაიონია
საკბილოს იმდენს იშოვნი
ვერც კი გაზიდო მგონია.
წამოსვლა, რომ დააპირო
ისვლარ ჩემო ძმაო
თორემ აქ მოსახლეობას
მუსრს ავლებს „ტიფის ჟამია“,
ექიმიცა და მეეტლეც
ტიფზე ვარესი ტიფია,
ღარიბ ხალხს ტყავი დააძვრეს
თვით გაიუქეს ლიპი.
მოთმინება ჯანსახკომო
აღარ გვყოფნის ამის მეტი,
ლანჩხუთს ესაჭიროება
ტიფის ასაცრელი წერტი,
საავადმყოფოს საცოდავს
არ სწყალობს გამგის თვალია,
მორიგე ექიმს თუ ნახავ
უთუოდ არის მთვრალია.

მარტისა.

# ორი ტემპი

(საქ. შემნახველ სალაროების ტემპები)

სამხრეთ ოსეთი, ამბროლაური, ბორჩალო, ბორჯომი, ბაღდადი, ყვარელი, ქუთაისი, ფოთი, ხარაგოული, ხონი, ჭიათურა, ქარელი, ჩოხატაური.



(იხ. სურ. ქვემოდ)

# შემოპარული

შეგხვდება იგი, კაცსა ჰგავს,
ორი აქვს ფეხი და თვალი;
ტანი გრძელი აქვს საგრძნობლად
და თავი კიდევ სულ რგვალი.
ქუჩაში გხვდება თავაზით,
თავი მიწამდე იხრება;
სადაც შეხვდება სართვასა,
იქითკენ გადაიხრება.
ჯიბეში პარტმანდატი აქვს;
(გულით კი ძალზე ფლიდია)
თუნდაც დაიწვას ქარხანა,
მას შეს ფეხებზე ჰკიდია.
ავრცელებს ჭორებს, სიცრუეს,
რას არ გაიგებთ მისგანა.
ყველაფერს იტყვის თუ რამე
გაუგონია სხვისგანა.
„აქტიურია“ ყოველგან
(ერთხელ არ მოვა კრებაზე):
— იქ რომ მივიდე რა მინდა?—
სულ ის ადგია ენაზე.
სამუშაოზე რომ მოდის
ცხარობს. გვიწუნებს რქიანებს,
ხან სულ არ მოვა. ხან კიდევ
საათით დაიგვიანებს.
ავტორიტეტი მოშიბში
ამ „გმირის“ მეტად შავია,
სიტყვას არ იტყვის რიგიანს,
გინება იცის ავია.

ბათა ბიროია.

ცხინვალ-მანგლისი, ვანი, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, ლიუქსემბურგი, ლანჩხუთი, მცხეთა, ონი, ოზურგეთი, სტალინისი, საჩხერე, სიღნაღი, თელავი, ტფილისი, ხონი, ხევი, წალენჯიხა, წალკა, კასპი, გურჯაანი, ჭიათურა, გორი; ახალციხე და სხვ.



აჩქარებითა სოფელი
არავის მოუჭამია
წამოვეწვეთ ტკბილად ვიძინოთ,
ძმა... რა სჯობს, ჩემო ძმაო!



# იუბილიარი

( ავისებური)

პატრონმა დილით ცხენი დაჭიანა, ქერით გამოაძღო და მინდვრად გაუშვა დასასვენებლად, სასეირნოდ.

— არ მოკვდეს ჩ პატრონი, რომ დღეს ასე მშვენივრად მომექცა. ეჰ, ყოველთვის რომ ასე მექცეოდეს, მივლიდეს და რამეიმე საათით მასვენებდეს, ჯანზე ორი ვიქნები და მ...აც მეტი შემეძლება! - ფიქრობდა ცხენი, ხნიერი ცხენი, და სიხარულისაგან კუნტრუშით ხტოდა.

— ეჰ, ჩემო კარგო, - უთხრა მას შექალარავებულმა მოქალაქემ, იმე ლიც, როგორიც ეტყობოდა, ან სოფლის მასწავლებელი იყო, ანდა - დაბ საბურებული საზოგადო მოღვაწე. - დღეს, ჩემო კარგო, ექვსი თებერვალია, ცხენის დღე, ე. ი. დღეს შენ იუბილიარი ხარ და სწორედ ამიტომ გცეს დღეს შენ პატივი. ხვალიდან კი ძველებს დაავიწყდებიან ისეთივე მოპყრობა გექნება, როგორიც გქონდა. მეც სწორ შინსაფით ...თა. იუბილე გადამიხადეს, დიდი პატივი მცეს, ბევრი რამ დამპირდნენ, მაგრამ ისე დამივიწყეს, თითქოს იუბილეზე გამასვენეს და მას შემდეგ თითქოს აღარ ვარსებობ! - და უცხოთ ჰქონდა თავის გზა დაუდგა.

ცხენი დაღონებული ... ბრუნდა სახლში.

— სიმართლე მიუხრა იმ მოქალაქემ. - ფიქრობს დღის ცხენი.

ზუკი

ნახ. მარიაშის



— რა განსხვავებაა გამოგონების და აღმოჩენის შორის?

— გამოგონება ბევრი რამის შეიძლება... ზოგიერთი სავნის,—მავა- ..., წ... ... თაიამწრობელის მიერ გად-მალული საქონლის აღმოჩენა კი მეტად ძნელი საქმეა.

## ელვა

### ... ეჭიმი

შემოქმედი. (გურია) ხმა გავრცელდა თითქოს ექიმ თ. ჯანელიძეს განეცხადებიოს, რომ ამიერიდან იგი თავს ანებებს ხალხის გატყავებას და ნაცვლად 25—50 მანეთისა „ვიზიტში" აიღებს 5—10 მანეთს. გლეხობა დაეჭვებით უცქერის ექიმის ასეთ განცხადებას.

შემოქმედელი.

### ახალი კურსები

სოფ. საირხე. (ჭიათურის რაიონი) მასწავლებელ შალვა წერეთელს აზრად აქვს გახსნას კურსები, სადაც მსმენელთ შეასწავლიან ლოთობის „ხელოვნებას", როგორიც არის: გინება, ჩხუბი და სხვა. მსმენელებათ მიიღებიან ისეთები, რომელთაც სამი კვარტის დალევა მაინც შეუძლიათ.

მუდა.

### დადგენილება

სადგ. სანხერე. ვინაიდან სადგურში გამეფებულ ჰიბინძურის გამო მოსალოდნელია ეპიდემიის გაჩენა — გადაწყვეტილ იქნა მატარებლის მიმოსვლა შეჩერებულ იქნეს მანამდე, სანამ სადგ. სანხერის ადმინისტრაცია გამოიღვიძებს და ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას.

ურა.

### კოოპერატივის გადატანა

სოფ. ეწერი. (ჩხარის რაიონი) სოფ. ეწერის კოოპერატივი გადატანილ იქნა ახალ ბინაზე — ნოქრის ოჯახში. კოოპერატივიდან საქონელი ეძლევა ნოქრის ოჯახის წევრებს გარდა მის ძმა ბიჭებს.

მფრინავი.

### მადლობა

ცხემლის ხიდი (ოზურგეთის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ეწვია ლორებისა და თხების კოლექტივების დელეგაცია, რომლებმაც მადლობა განუცხადეს თავმჯდომარეს პატივისცემისათვის, რომელიც მათ ნებას აძლევს ითარეშონ და გაშალონ მუშაობა ჩაით გაშენებულ მამულში ყოფილ სტეფან-წმინდის ეკლესიის მახლობლად. თავმჯდომარემ მათ აგრეთვე აცნობა, რომ იგი მეორე ხუთწლედშიაც არ აპირებს ხსენებული მამულის შემოღობვას და მათ შეუძლიათ არხეინად ითარეშონ იქ და გაალრმავონ ჩაის მოვლა-მოშენება.

ფოკნი.



რ ... ას (სამტრედია) თქვენი ლექსის ნაწყვეტს გ. ვაშაკიძის შესახებ, რომელმაც 6 დღე „დამკვრელ-ურად" გააცდინა, გილოცავთ, ვათავსებთ, რადგან თქვენი გმირისთვის უფრო შესაფერი ადგილი ვერ ვიპოვეთ.

დამკვრელია ვაშაკიძე,
მომწონს მისი ქცევობა,
სულ ლოგინში გაატარა
და ძილში დამკვრელობა.

გამოსადეხიზლებლად ჯერ ეს იკმარეთ.

ა. ბანძელს (ქუთაისი) ნიანგი თავის ქებას ერთი კიტრის ფასადაც არ ყიდულობს.

ოგჩელ... (ს. ობჩა) — თქვენი ლექსიდან გავიგეთ, რომ თქვენი სოფლის სკოლა ცეცხლს დაუწვავს, რამდენიმე ხნის წინად. მაგრამ ჩვენ არა ნაკლებ დაგვწვა თქვენმა „ბრწყინვალე" ქართულმა. აი ნიმუში თქვენი ლექსიდან:

სკოლა დღესაც სდგას ტანჯულათ
ყვილანი მისი მტირია,
ესვდით ჩამ ადნა საბრალო
არ აქვს კრიშა და კირია.

იმ სკოლის მოწაფეების აზრით ალბათ კრიშას რუსულად სახურავი ჰქვია.

უარამანს (აქვე) თქვენს ლექსში ვკითხულობთ:

ახე იცის „საქვაჭრობამ":
როცა ცაზე ცხელი მზეა,
მაშინ მოაქვს (აგვისტოში)
კალოში და ბამბაზია;
ზამთარში კი ის გვაქვს რაზეც
...ბობდა ზაფხულს ტვინი:
თეთრი ტილოს ფეხსაცმელი
და ფარფალა ჩით-მერდინი...

ალბათ თქვენ გინდათ ასე თქვათ: „მოლა მოკვდა და პირზე ფლავი დააყარესო".

ორ მაღრაძეს (ხუნწი, მარტვილის რაიონი) — მიუხედავად იმისა, რომ ერთი კაცის წინააღმდეგ ორი მათრახი ამოვიღეთ... მაინც ვერ ხედებით: თქვენი წერილი ყოველგვარ იუმორს მოკლებულია და ბრალდებაც მოძველებულია ... ... ... გათავისუფლდა ხანის 7-წლედის გამგე — რეარი, რომელსაც სკოლის საქმეები საკმაოდ აურევია.



# ორი ოპორტუნისტი

ნახ. ქოქიაშვილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყუილად ამბობენ: რასაც დათე [illegible] მომკიო... თავთესეთ ჩვენი მიზნები, მაგრამ მოსავალი ვერა ფერი მივიღეთ!

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 2400.